კვირა 28 მარტი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათრახი

№ 13

-სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

## ასტროლოგთან



**გუჩკოვი.** თქვენი აზრით ხომიაკოვის კომეტა აღარ არის ჩემთვის საშიში?

**ასტროლოგი.** თქვენ აი, ამ მეორე „ვალიია კომეტისაგან“ მოგელისთ საფრთხე. სახელით ძლიერ წააგავს გალლეის კომეტას, მაგრამ რუსეთისათვის ეგ უფრო საშიშარია.

**გუჩკოვი.** ის მესამე რომელიღაა?

**ასტროლოგი.** ის „მესამე დუმის“ კომეტაა, ჯერ მხოლოდ კუდი მოსჩანს..

# ორი მაგალითი

I

თუმცა ხმა გვესმის ზოგ ბატონების
(„დამცველებისა კერძო ქონების“),
რომ არ ვუცქერდეთ ლა[illegible]იბნი მტრულათ;—
უნდა მოვსპოთო ამ ქვეყნათ სრულათ
სხვის საკუთრების ხელის შეხება,
(ალბათ ეს მაშინ,—თუ მათ ეხება),
ჩვენს ქონებას-კი, თუ მიდგა ჯერი,—
ღვთის წყალობა გაქვსთ, ადინონ მტვერი..

II

მათგანვე გვესმის ხშირათ მსჯელობა,
რომ სიბნელეა უსწავლელობა. .
სწავლა კი ნათელ შუქს ჰფენს მათი თქმით...
(ეს მხოლოთ მაშინ, თუ სწავლობენ თვით).
მაგრამ თუ ჩვენში ნასწავლს ნახავენ,—
ქვეყნის დაქცევის ნიშნათ სახავენ ..
დაჰკრავენ საყვირს, ნაღარას, ბუკსა
და ამა ნასწავლს, ვინც ჩვენ გვფენს შუქსა,
მოსპობენ ხელათ, ქარ-ცეცხლს მისცემენ...
ამით კიდევ ხომ მას გვიმტკიცებენ,
რომ უყვართ ხალხის სიბნელით მოცვა...
ბნელში კიდევ ხომ ქურდს უყვარს ცოცვა...
აწაპვნასაც ხომ ქურდი იქ ბედავს,
სად ხალხის თვალი ვერაფერს ხედავს. .).

**ფონ-ტეფო.**




# სცენა რედაქციაში

მწარეთ დაფიქრებული იჯდა რედაქტორი უიმედოშვილი. მას ვერ ახარებდა ვერც ეროვნულ ,,მატიცას‘‘ ახლო ყოფნა და ვერც ეროვნულ ხელოვნების ტაძრის ცხვირის წინ ამართვა. მოლუშული იჯდა უიმედოშვილი, ღრმა ფიქრებში წასული. ნომერს ამზადებს, სურათები, უნდა გაუშვას, ფული კი არაა ჯიბეში, ერთი გროშიც არ ჰყავის. არც მასალა მოეძებნება. უცებ რედაქციის კარებს ვიღაც დაეძგერა.

— ვინ არის? იკითხაუიმედოშილმა.

— ჩვენ გახლავართ, დრამატურგი კარგაშვილი.

— რა გნებავთ?

— დრამა მოგართვით, ოღონდ დაბეჭდეთ და ხარჯი ჩემი იყოს. სურათებს მე დავახატვინებ ჩემი ხარჯით, თუ საჭირო იქნება...

— ამაშენებთ და ის იქნება.

— თუ ჩემს სურათსაც მოათავსებთ, ხარჯს მე ვიკისრებ.

— ოო, ძალიან კარგი ძალიან... მე თქვენი სურათის მოთავსება დიდი ხანია მინდოდა...

— ფაქსიმილეს ნებაც მითავაზეთ...

— დიდის კმაყოფილებით .. დიდის! ამოაჭრევინეთ და მეტი არაფერი გვინდა.

— მაშ ეხლავ მოგართმევთ.

წავიდა დრამატურგი კარგაშვილი. ჯერ ინახულა მხვატარი, სურათები შეუკვეთა დრამისათვის, შემდეგ ფოტოგრაფთან მიირბინა და გადიხატა, ბოლოს კი ცინკოგრაფიისკენ წაიღო საგანგებოთ დაწერილი ფაქსიმილე. უნდა გენახათ რამდენი ეწვალა ამ უკანასკნელზე. მთელი ფურცელი ქაღალდი გადაბღაჯნა. დასწერს ,,კარგაშვილი‘‘, აქეთ-იქით გაუფხაკურ-გამოუფხაკურებს კალამს, მარა რაღაც არ მოსწონს. დასწერს მეორეთ, მესამეთ, მეასეთ. ბოლოს, როგორც იქნა, ერთი მოეწონა და კიდეც მიაქვს ცინკოგრაფიაში. მარა მართალი რო თქვას კაცმა, ფოტოგრაფიაშიც ბევრი იმანჭა: ხან ასე დაჯდა, ხან ისე. მთელი ხუთი საათი სარკეში იხედა: ცდილობდა ისეთი პოზა და სახის გამომეტყველება მიეღო, რომ მნახველს პირველ შეხედვისთანავე ეთქვა: ეს უთუოდ ჭკვიანი მწერალია, შეხედეთ როგორი გამომეტყველება აქვსო.

უიმედოშვილი კი ცოტათი შეიმედებული იჯდა ამ დროს რედაქციაში. კვლავ შემოხტა ვიღაცა.

— ვინა ხართ.

— პოეტი ბარაშკაშვილი. გავიგე, რომ კარგაშვილი ფაქსიმილეს იჭრის თავის ხარჯზე. მომეცით მეც ამისი ნება?

— ინებეთ ბატონო, ინებეთ. . მარა თქვენ ეს ვინ გაგიმხილათ?

— თვითონ კარგაშვილმა. ყველა თავის მეგობრებს გააგებინა... მაშ მივდივარ მივდივარ და ბარაშკაშვილიც გაიქცა ცინკოგრაფიაში.

კიდევ შემოიჭრენ რედაქციაში მჭედლიძე. კატაშაველაძე და კიდევ ვიღაცები. ამათაც სთხოვეს რედაქტორს მიეცა მათთვის ფაქსიმილეს თავის ხარჯზე ამოჭრის ნება, რასაკვირველია დასტური მიიღეს.

კიდევ ცოტა ხანი და რედაქციაში ბლომათ მოგროვდა ავტორების მიერ თავის ხარჯზე დახატული სურათები და ფაქსიმილეები. გაიჩარხა უიმედოშვილის საქმე.

— დასწყევლოს ღმერთმა—რა ცუდი გვარი მაქვს—უიმედოშვილი... ასეთი გვარის გავლენითაა ალბათ, რომ მუდამ უიმედოთ ვარ, ნამდვილათ კი სულ წინააღმდეგი უნდა იყოს. იმედით უნდა მქონდეს სავსე გული! თქვენი ჭირიმე! რამდენიმე ხნის უკან ნომრის გამოსაცემათ სალსარი არა მქონდა, უიმედოთ ვიყავი და თუ ასეთი ბედი მედგა, რო-

გორ ვიფიქრებდი! დღეიდან გვარი უნდა გამოვიცვალო. . პირველ ანბანს მოვაშორებ და დარჩება იმედოშვილი, ან კიდევ ერთ ანბანს შევცვლი და გამოვა იმედაშვილი. . მორჩა...საქმე გაიჩარხება.. *)

გახარებული რედაქტორი კი მაშინვე გვარის გამოცვლას შეუდგა.

რამოდენიმე დღის შემდეგ მართლაც გამოუშვა ჟურნალის ნომერი: სულ ფაქსიმილებით და სურათებით ავსილი, ხოლო თავისი სახელი და გამოცვლილი გვარი კი უფაქსიმილეოთ გაეშვა რედაქტორს, ალბათ შეცდომით.

იშმაკუნა.



# მჭედელი.

არა, არ ვტირი. ჩემ თვალებზე ცრემლს ვერ შეამჩნევთ,
მე ვერ შემაკრთობთ, სხვას უმღერეთ ეგ გლოვის ზარი,
ვერ დაიმონებთ ამ ამაყ სულს, ვერა, ვერ დასძლევთ...
ის ვით იტირებს, ვინც ტანჯვაში ნაწრთობი არი?
დიდი ხანია ავი ბედი დამდევს კვალ-და-კვალ,
დიდი ხანია ყურს მოესმის გლოვა-ვაება,
დიდი ხანია, რაც ამ სოფლად მე ობლათ დავალ,
არ ვიცი რაა ნეტარება, ბედნიერება.
მაგრამ ავ ხვედრმა გული მაინც ვერ გატეხა,
ვერ დაუმონა ბედის რისხვას და მწუხარებას,
დუხჭირ ცხოვრებამ გამაკაჟა, გამაუკმეხა,
და მარად ვჭედავ, ვჭედავ დიად ბედნიერებას,
სამჭედლო ქურა—ეგ ტანჯული ჩვენი გულია,
ურო ძლიერი—მგრძნობიარე ჭკუა-გონება,
ნედლი მასალა—გასაჭედი სიყვარულია
და ღრმა ცოდნისა გაღვივება, მეტი შეგნება.
ჰა კიდევ ვჭედავთ: ყური უგდეთ უროთ რახა-რუხს,
გახურდა ქურა, ნაპერწკლები დაკრთიან ბნელში,
მალე გავჭედავთ... შენ, ჰეი ძმავ, გული რომ გიწუხს,
ბედნიერება თუ გსურს, ურო აიღე ხელში.
ჩვენი ცხოვრების გაკვეთილი ხსნისთვის ბრძოლაა,
შრომა-ოფლის ღვრით არსებობის შენარჩუნება,
ვინც ხვედრს ქედს უხრის, ვინც მხდალია, ვინაც მონაა,
ბედნიერებას ის ვერას დროს ვერ ეღირსება,
შეხე ძმობილო პაწაწინა, საბრალო ფუტკარს,
მარად დაბზუის, თაფლს აგროვებს, აღარ ჩერდება,
და თუ შრომის დროს შეუმალეს ხელი უწყინარს,
ჩაისრავს მტერსა სასიკვდილოდ, თვით შეაკვდება.
შენც მას მიჰბაძე... აიღევი ურო, ძმობილო,
და ჩვენთან სჭედე, სჭედე მარად ბედნიერება,
შავი ბედის წინ დაჩრულად არ დაითრხილო...
მივაღწევთ მიზანს, ხსნის იმედი ნუ გაგიქრება.
შორს ეგ ცრემლები, ბედის მდურვა, მოთქმა-ვალალი,
დაარტყი ურო, მე გიმღერებ, შენ მითხარ ბანი,
ამ სიმღერაზე გაგვიქრება, გაგვიქარწყლდება
შემოჩვეული გულის ბოღმა და კაეშანი!..

ნ. ჩხიკვაძე.

---

## დეპეშები.

**სამტრედია**. ადგილობრივ ფოსტის განყოფილებაში, მარკის ყიდვის დროს, უზომო-ხანგრძლივი ლოდინისაგან გული შეუწუხდა 7 მამაკაცსა, 4 დედაკაცსა და 12 ბავშვს.

**იქიდანვე**. ლანჩხუთიდან გამოიწერეს ცხოველთა მომრჯულებელ-მომშინაურებელი მეცირკე კალანდაძე. ფიქრობენ, შეიძლება იმან გადაარჩინოს ბ-ნი გ. გვა—ძე წიხლბის სროლასათ. ვნახოთ!

**იქიდანვე**. აქ საზოგადოთ დიდი პატივისცემა აქვთ ექიმებისა და კერძოთ რკინის გზის ექიმებისა. ექიმი შპედპორსკი სადილით გააცილეს და ახალ ექიმს ვახშმითა და გვირგვინებით უპირებენ შეხვედრას.

**იქიდანვე** დეპოს სამკითხველოს ანთება გაუჩნდა. გადარჩენა საეჭვოა.

**იქიდანვე**. დაბის ბოქაული დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი, ვინაიდან ბაზრის უსუფთაობა მან იდვა თავსა და ვაჭრები არ ეხმარებიან.

**იქიდანვე**. მესამე დღეა, რაც ადგილობრივი სტრაჟნიკ—დესიატნიკები აღარ დამთვრალან.

**იქიდანვე**. მეოთხე დღეა, რაც ბაგაჟნი კასირი მარჯვენა ხელს იტკივებს. ზოგიერთებმა მიზეზი ჯერაც არ იციან.

**იქიდანვე**. დიდად დაამწუხარა ჩვენი დაბის მოქალაქენი, ერთად-ერთი მათი გამართობელი ,,ბეჟანას'' გარდაცვალებამ.

**იანეთი**. დაარსდა იარმუკა გაიხსნა ჯერ ჯერობით მხოლოდ 28 სამიკიტნო.



---

*) ბატონებო,—მიმართა მან ყველას, გარდა კარგაშვილისა,—ჯერ ეს იკმარეთ და მომავალში ყველა თქვენს სურათებს მოვათავსებ ჟურნალში, თუ რასაკვირველია თქვენი ხარჯით იქნება...

— ძალიან კარგი... იგრიალა პარნასელთა გუნდმა.

# მიდის ტერიტორია!




ქართველი მამულიშვილები ყოველგვარ ღონისძიებასა ხმარობენ ტერიტორიის შესარჩენათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ორი ეშმაკი

**პირველი** მაშ როგორ გეგონა?

**მეორე** როგორ მეგონა და როგორც ქვეყანასა ჰგონია.

**პირველი.** შენი აზრით ჩვენი კაცი და უცხო არ უნდა გავარჩიოთ ერთმანეთში?

**მეორე.** კი, მაგრამ აქ კაცზე ხომ არ არის საქმე? აქ ხმა, ანუ უკეთ ვსთქვათ ხელოვნებაა დასაფასებელი.

**პირველი.** თუნდაც ეგრე იყოს. შენი აზრით ქართველი კაცის ხმა, ან ჩვენებური ხელოვნება არ უნდა გავარჩიოთ უცხოელი ხმისა და ხელოვნებისაგან?

**მეორე.** მე რო მეკითხები ჯერ შენა თქვი შენ რა აზრისა ხარ ამის შესახებ?

**პირველი.** მე? მეც, საზოგადოთ იმავე აზრისა ვარ. როდესაც სარაჯიშვილი ახალი ხილი იყო ყველანი მივდიოდით თეატრში, რომ როგორც ქართველი კაცისათვის მხარი დაგვეჭირა

**მეორე.** ახლა?

**პირველი.** ახლა რა, ახლა დაძველდა და ესეც არ იყოს ჩვენს შრომას თუ არ დააფასებს, ჩვენ რისთვის შევიწუხებთ თავს.

**მეორე.** ჩინებული შეხედულებაა ხელოვნებაზე სწორეთ.

**პირველი.** ვითომ და რაო? განა ცოტა გვინახავს აქ ცნობილი მომღერლები, მაგრამ თავპირი არ გვიმტვრევია. სარაჯიშვილი კი ქართველი იყო და ჩვენც იმიტომ ვიხეთქდით ხელის გულებს.

**მეორე.** არა გცხვენია, ბიჭო, ასეთი უაზრო და შეუფერებელი მსჯელობა?! ვერ დავიჯერებ შენ ეგზომ გამოცვლილიყო, რომ უცხო მომღერალს ცუდი სიმღერა მოუწონო, აქაო და ქართველი კაციაო.

**პირველი.** (ცოტა დარცხვენით) არა.. როგორ აგიხსნა... ეს მარტო ჩემი აზრი კი არ არის... ეს თუ მართალი გინდა გაზ ,,დროების'' აზრია. მე... მე .. მო .. ვიპა... რე..

**მეორე.** შე კაი კაცო რაღა მაინცა და მაინც ეს მოიპარე?.. განა...

**პირველი** ყველაზე უკეთესი ეს ამბავი იყო მთელს მე-64 ნომერში...

**მეორე.** აი ამაზე იტყვიან: ,,ქურდი თხლეზე დაიჭირესო''!! ამის გულისათვის შეიძლება ,,ჟურნალისტების სამსჯავროში'' მიგცენ.

**პირველი** რის გულისათვის? რას ამბობ!

**მეორე.** ქურდობა ქურდობაა! მე არ გაგამხელ, მაგრამ თუ შეგიტყვეს უთუოდ მიგცემენ!

**პირველი.** (გაფითრებული) ღმერთო ჩემო, ნუ თუ ამ უაზრობის გულისათვის ასეთ სატანჯველში!

**მეორე.** რამ გაგაფითრა, ხომ არაფერი გტკივა?

**პირველი.** (თავს იკატუნებს) ოჰ, მოვკვდი, მოვკდი! გულზე მიცინცილებს! მიშველე რამე.

**მეორე.** (ტელეფონს მივარდება) მოცა აი ახლავ ექიმს გამოვუძახებ. (უძახის) მიბოძეთ ბერლინის უნივერსიტეტი. . დიახ ბერლინის უნივერსიტეტი... როგორ თუ არ არის.. თქვენ სცდებით ქალბატონო. . დიახ გერმანიაშია.... მართალია გერმანიაშია, მაგრამ გაზეთ ,,ზაკავკაზიე'' აცხადებს: ავათმყოფებს ვიღებო.. არავითარი შეცდომა ეს არ არის...თქვენ თითონ წაიკითხეთ აი ასე სწერია: **ექიმი ალშიბაია იღებს ავათმყოფებს ბერლინშიო**.. ძალიან კარგი, ისევ რედაქციას მოველაპარაკები... მშვიდობით.

**პირველი.** (შეშინებული) რა ამბავია, კაცო, ვის ელაპარაკები ამდენ ხანს?

**მეორე.** მინდოდა ტელეფონით ექიმი გ. კ. ალშიბაია გამომეწვია ბერლინიდან.

**პირველი.** ბერლინი ხომ გერმანიაშია.

**მეორე** გერმანიაში თუა აქ რაღას აცხადებს ის მამაცხონებული?

**პირველი** სად აცხადებს?

**მეორე.** სადა და ,,ზაკავკაზიეს'' გაზეთში. აქაური ექიმები მშივრები იხოცებიან და ახლა მამა უცხონდა ავათმყოფები აქედან ბერლინში მისკდებიან, აი!

**პირველი.** ეს ეშმაკობაა, ძმაო, სხვა არაფერი. ალბათ აქ ჩამოსვლა უნდა და გზას იწალდავს.

**მეორე** მე კი დამაბნია! ოოო, რას არ მოიგონებს ნასწავლი კაცი!!

**პირველი.** მაშ სწავლა რა ჯანაბისთვის არის საჭირო, თუ ასეთ უბრალო ფოკუსებს ვერ მოიგონებს.

## ამონაკვნესი.

—

გაზაფხული მოცქრიალებს,
მთა ბარს ხატავს, აფერადებს,
იქ ტყეს ამკევს ზურმუხტ კაბას,
აქ შლის, ფურჩქნის ია-ვარდებს.
ვიშ, ბუნებავ, რა წესი გაქვს:
დღეს მკვდარი ხარ, ხვალ ცოცხალი;
ნეტა ჩვენზეც ვრცელდებოდეს
ეგ უცვლელი კანონ ძალი!
თუმც ხანდახან ჩვენს გულშიაც
აფეთქდება გაზაფხული
და, ვით ვარდი, გაიშლება
ნეტარება, სიხარული,
მაგრამ წამსვე ტანჯვის სუსხი
ძირში მოკვეთს, დამჭკნარებს
და კვლავ ვკვნესით უიმედოთ:
ჩვენთვის როდის გაიდარებს?!

**ვ. რუხაძე**

---

## დეპეშები.

(მანსე—ძის საგენტო.)

**ჭიათურა.** 12 მარტს, ადგილობრივ თეატრის დარბაზში, თფილისის დრამ. დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა ხუთ მოქმედებიანი ,,ჰამლეტი'' რომლის დროსაც თეატრში გულიანათ ეძინა ერთ ნაბდოსან აბაშიძეს. მიუხედავათ ამისა ბ. აბაშიძეს ძალიან მოეწონა ,,ჰამლეტის'' შინაარსი და აღფრთოვანებაში მოიყვანა ის, ალ. მესხიშვილის და სხვების მოხდენილმა თამაშმა.

წარმოდგენა ძალიან კარგათ ჩატარდა. ჩხუბი კიდევ უკეთესათ...

**იქიდანვე.** ინტელიგენციის ერთ ნაწილს განზრახვა აქვს, (და ამისათვის უკვე რამდენიმე წევრიც შეიძინეს), ახლო მომავალში ჭიათურაში გახსნან კლუბი. კლუბში მხოლოდ კარტის თამაშით გაართობენ ისინი აქაურ ახალ გაზრდობას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც ,,კულტურული'' დაწესებულება იქნება...

**იქიდანვე.** არ გამართლდა ხმები, ვითომც, პანასევის შავი ქვის სარეცხ ქარხნის ადმინისტრაციის საქმის მადა დაკარგოდეს, და მისთვის მადის ,,კაპლი'' გამოეწეროსთ. პირიქით, ის ისეთ კარგ მადაზეა, რომ ,,თავისი'' აღარ ყოფნის და განზრახვა აქვს, დანაკლისი მუშების დღიური ჯამაგირის დაკლებით შეიმსოს...

(სამეგრელოს საგენტო)

**აბაშა.** მამა კონსტანტინე, რადგან ყოველ მხრივ მარცხდება და ღალატს ხედავს, ეპიროპა უდაბნოში წასვლას ძალთა აღსადგენათ. აქ მიყავს თავისი ერთად-ერთი იმედი ბაგრატი.

**იქიდანვე.** ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული სადგურის პირველი და მეორე კლასის დარბაზი რატომ არის მუდამ დაკეტილი.
ხმებია აღდგომას გააღებენო.

**ნაესაკოვო.** სამეგრელოში ცნობილ თამადის შვილი ვარლაამი ნერვებით ავათმყოფობს. პედაგოგებს ,,ნაზურგულებით'' ემუქრება, ხოლო მასწავლებელ ქალს—ადგილიდან დათხოვით, რადგან უკანასკნელი ,,не подчиняется ему".

**იქიდანვე.** არ გასჭრა 300 ქანქარმა და დიდმა ქვაბმა კენჭების ჩასაყრელად დადგმულმა, მამასახლისათ არჩეულ იქნა სრულიად უდანაშაულო პირი.

**იქიდანვე.** 20 მარტს გამართულმა წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, რადგან მოთამაშენი რეპეტიციებს ერთი კვირის განმავლობაში ყოველ დღე აკეთებდენ ბახუტის მეთაურობით



## შარადა.

—

შეფხაკურდება ზოგ-ზოგჯერ
ზოგი შარადის მწერალი,
მაგრამ უმალვე უდუნებს
მარჯვენა მონადღერალი,
ქანგსა იკიდებს კალამი
საწერად დანაფერალი
და მე მიხდება ძველებურ
შარადა დასამღერალი.
მაშ მოემზადეთ... ბრძენსავით
შუბლს მიიბჯინეთ ხელები...
მონახეთ სიტყვა ქართული
მოყვასის გამახელები,
„სულელის" ნაცვლათ ხმარობენ
ქართული ენის მცველები,
უფრო კი ჩერჩეტს" ემხრობა
ვერაფრად სასახელები.
მოსწყვიტეთ ასო პირველი
არ დაგემტვრევათ ხელი.
მეორე სიტყვაც, აგრეთვე,
ადვილი დასახსნელია...
რა ეწოდება ლომის თათს
ეგ არ იცოდეთ ძნელია,
და თუ, ძმობილო, ქართული
ამ რიგათ შემოგლეია,
სჩანს ზემო სახელ-წოდება
შენთვისაც გმრიელია.

ერთი-ღა დაგვრჩა, უბრალო,
იოლი მოსაძებნელი,
ქორონიკონით, „ერთია“,
პირველად მისაგნებელი
ეს არ იცოდეს ვინაა
ნეტავი ეგზომ მზებნელი!..
ეხლა შეჰკარით წყობისათ,
ერთპიროვანი სამება...
(თუ შეგეშალა, პირველი
სახელი შეგეწამება!)
ისეთსა სიტყვას მიიღებ
მოსმენა დაგეამება...
,,დროებას‘‘ უყვარს იმისი
ულმერთო ძიძგნა, წამება ..
საქმით კი ხელსაც არ ანძრევს
(ეს როგორ შეეხამება,
უფრო ადვილი საქმეა
სიტყვასა გათამამება!)
,,მამულიშვილნი‘‘ ყიდიან,
ან კი ვის დაენანება,
გადასაშენი წოდება
უფსკრულად მიექანება.
მას მხოლოდ მიეც ქანქარი
(ის ოქროს ეთაყვანება!)
და ,,პატრიოტი ქართველი‘‘
წმინდა ჩარჩს დაემგვანება.
უცხოელები იძენენ...
ამაზე სტირის ,,დროება‘‘
(ღმერთმანი მიკვირს ამდენი
ცრემლი სად მოეგროვება)
მოსთქვამს ჯორჯაძე, ,,ბატონი‘‘
,,სიტყვას‘‘ ცრემლის ზღვა მოება,
მაგრამ არავის აკვირვებს
ეს მათი გარემოება.
ალბათ ახსენით შარადა
სახელდახელოთ ნაწერი,
მაშ შეიძინეთ ს.ულყველამ
თითო მოზრდილი ნაჭერი.

კოლო.



# დეპეშები

**ქუთაისი.** (,,ანათემას‘‘ სააგენტო) გარდაიცვალა ალმანახი ,,ჭინკა‘‘. იმავე ბედის მოლოდინით დამწუხრებული ,,ფონი“-მწარე ცრემლით გლოვობს.

**იქიდანვე.** გახშირდენ ,,ფილოსოფოსები‘‘ და გაიაფდა გაფილოსოფოსება. საკმარისია თვეში ორი ქანქარი იხადო. ლექციები კვირაში ორხელ იკითხება. შინაარსი ფილოსოფოსთა გვარებია.

**იქიდანვე.** სახლის პატრონები მეტად აღაფრთოვანა იმ ცნობამ, თითქო ,,ზუბრთა‘‘ არჩევნები უკანონოთ იცნეს და ისევ განმეორდებაო.

**იქიდანვე.** ქალაქის გამოსაღვიძებლათ ათასგვარ საშვალებებს ხმარობენ, მაგრამ ამაოთ, განზრახულია ისევ გამოიწერონ ბ-ნი გრ. რობაქიძე, ან გაიმეორონ თავად-აზნაურთა კრებები.

**ხაშური.** ამ დღეებში პოლიციელთა თანხლებით ხაშურს ჩამობრძანდა დაგეშილი ძაღლი. რამოდენიმე კაცი დასუნა. ყველანი დააპატიმრეს.

**იქიდანვე.** იმატა გაზეთის მკითხველთა რიცხვმა. განზრახულია ეთხოვოს გაზეთის მოხელეებს კიდევ გამოსცენ რამოდენიმე გაზეთი სხვა და სხვა სქესისა.

**მერვი.** ადგილობრივ ქართველებისა და ოსების მონაწილეობით წარმოდგევილ იქმნა ,,ისუსას‘‘ (ა. ზერეკიძე.) ახალი დრამა „ძმის ღალატი“.

**იქიდანვე.** დიმ. კეკელია ორი თვით მიიწვიეს ადგილობრივ სატუსაღოში, როგორც საუკეთესო მასაჟის მოხელე. ჯამაგირათ 75 ქანქარი დაუნიშნეს.

**დარკვეთი.** ადგილობრივი მუშები ერთიაბ გაიტაცა ჭიდაობის სპორტმა. ხშირად ცხვირ-პირსაც ლაზათიანად ასპოტავენ ერთმანეთს.

**საჯავახოს მხარე.** ადგილობრივ მემამულეებსა და „საიმედო“ ყანის მუშათა შორის ისევ „მამაშვილური“ კავშირი დამყარდა. მემამულეებმა საყანე მიწები მათ სანახევროთ დაუთმეს. ერთობის დროს მემამულეები „სამეოთხედოთ“ აძლევდენ ქცევას და თურმე ბევრი იზარალეს.

**ბაქო.** გაზეთი ,,მარცვალი‘‘ ორი კვირეა აღარ ამოსულა. ამბობენ მატლმა გამოხრა და გული გაუფუქდაო.

**ლანჩხუთი.** ვაჭრებმა უარყვეს ბოქაულის წინადადება: ქალაქი ელექტრონით იქნას განათებული. განზრახულია ჯერ ქალაქის თავი აირჩიონ, შემდეგ ჭიოლტბაის ნავთსადგურში საფუძთ გადასახადი დაარსონ და შემდეგ იფიქრიან ელექტრონის სინათლეზე.

**იქიდანვე.** აბრ. კვირკელია და ეს ჟორდანია ციხეში ჩაჯდომით კი არ არიან იმდენათ უკმაყოფილონი. იმათ აწუხებს ის გარემოება, რომ საქვეყნოთ თავი მოსჭრეს და ხალხის მომხრეობა დასწამეს.

**ახალ-სენაკი.** მომავალი ვაჟთა პროგიმნაზია დაეჯახა ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელს, დამარცხდა და ჩაიძირა.



# მესტვირული

(სამეგრელოსათვის)

თვალი ავავლოთ რა ხდება
სხვა და სხვა ჯგუფთა ბანაკში.
მათ რევიზია რო უყოთ
ბრალს ჩვენ ვინ დაგვდებს ამაში?
ზოგი პირადათ გავიცნოთ,
ზოგს ჩაუხედოთ დავთარში
და თუ საკბილე ვიპოვოთ,
სტვირო, ავტეხოთ განგაში.

—

ჯერ მივესალმოთ **ყულევსა**
უშნოს და დანგრეულსაო,
შავი ზღვის პირათ მდებარეს
სიძველე დამჩნეულსაო.
ხე-ტყის ქარხნებით ალსავსეს,
ყოველ მხრით გაბნეულსაო,
ტყეთა და ხალხთა ერთგვარათ
გაყვლეფას დაჩვეულსაო.
მუშებისადმი ალების
მოპყრობას, ვერაგულსაო
მუშების წინა მსვლელობას
(დღეს რო ჩამორჩა კუსაო)
აქ ვერ იხილავთ გაზეთსა,
რომელიც მუშის გულსა
ტანჯვებსა გაუქარვებდეს
და ფენდეს სიხარულსაო.
(ცხადია ყავახანებში
,,სხვა‘‘ რამე უტკბობთ სულსაო).

—

აქ ერთი მოიჯარადრის
შექება მეტად მსურსაო,
მოხერხებული კაცია,
ჭკვიანათ იგებს ფულსაო..
ხორგაში *) ტყე რომ გაჰკაფა
ნეტა ვის ეტყვის ტყულსაო?
ეს ტყე ქონია ძველადა
გლეხ-კაცსა უბედურსაო,
დღეს კი ხელიდან აცლიან
უჭკუოს უგუნურსაო:
ნაწილი მიაქვს ხაზინას
ნაწილი აზნაურსაო,
და მე იმათ ტყეს ვკაფავდე
ნეტავი ვის რათ შურსაო.
ახე მოგვითხრობს ეს ,,გმირი‘‘...
გლეხი არ იბერტყს ყურსაო,
და მგელი რიღას მგელია
თუ არ მოწველავს ,,ფურსაო‘‘.
ტყის მცველნიც იმისგანა
იღებენ ხელის ჭუჭყსაო,
გლეხიც მიართმევს ქანქარსა
შველის თავის ბედს კრულსაო,
რადგან ,,არესტი‘‘ დაადვეს
მათ მიწას საყანულსაო,
,,კანონი‘‘ იმან არ იცის,
ყველა შემოჰკრავს ცულსაო.
ეხლა მივმართოთ ,,უჩიტლებს‘‘,
შევაღოთ, სტვირო, კარიო
მივუმღერ-მივულიღინოთ
გულისა გასახარიო.
უთხრათ: მომხდარი შემთხვევა,
არ არის დასაფარიო,
სად იმყოფება ხუცესი
ლავრენტი „კალანდარიო‘‘,
რომელმაც ერთსა მოწაფეს
პანღური არტყა მწარიო,
რის გამო, ეხლაც, ავადმყოფს
ცხვირიდან დასდის ძმარო.
რას ეუბნებით ხუცესსა
რად არ დასდევით მსჯავრიო?
შემთხვევა ესე სკოლა'ში
მეტად სასირცხო არიო.
ეხლა ხობისკენ წავიდეთ
ამბავი გვიცდის ცხელია,

*) ხორგა—სოფელია.

,,ონისიმე'' წერს რაღაცას,
ამბავი მეტად ძნელია,
ნუ თუ ,,ბალნიცას'' არა ყავს
ექიმი ვინმე მხსნელია!
ჰოი უფალო, რას ვხედავ,
ქვეყანა რაგვარ ჭრელია,
კახიანს დასძინებია
,,ბალნიცა'' ცარიელია.
თუმც ავათმყოფი ბევრია
და სახლიც განიერია,
ბევრნი ამბობენ: არ არის
აქ ჰავა შესაფერია...
ვინ შეამოწმა ნეტავი
იმას დაექცეს კერია,
ტალახში ააშენეთ
აბა რა წიგნში წერია?
კითხვაა აქა ქანქრისა
და აღარ დამიჯერია.
,,ბალნიცის'' ბედი წვევია
სენაკის სამკითხველოსა,
ორიოდ „ფურცლის“ გამეტი
ნეტავ რამ გააძნელოსა,
კარგი იქნება საბრალოს
ხალხი რომ მიეშველოსა,
თორემ თაგვები დახრავენ
და გაიტანენ ლელოსა.

**ნალარა.**

---

## დ ე პ ე შ ე ბ ი.

**თელავი** მასწავლებელი დიდია მავნე მიმართულებისთვის იგზავნებიან სამუდამოთ არტემას მაღაროებში სამუშაოთ.

**იქიდანვე.** აქაური ქალთა პროგიმნაზია მასწავლებლების თხოვნით გადააკეთეს... (ვერ გავარჩიეთ).

**იქიდანვე.** გაიმართა მღვდლების დოღი საკრებულო ტაძრის მღვდლობის ადგილის მისაღებათ. პირველი პრიზი აიღო შავლიევმა, მეორე კი მაისურაძემ.

**კონდოლი.** მღვდელი ჭელიძე სუსტათ არის, მიზეზათ ბევრს რამეს ასახელებენ.

**კისისხევი.** ქობულოვებმა თავადური ბუზები საიალაღოთ გააფრინეს.

**შილდა.** სამკითხველო თავს უქეიფოთა გრძნობს. მკითხავის სიტყვით საჭიროა წყაროსთავში და ნერსესას დუქანში სამღვთოს შეწირვა.

**კურდღელაური.** სახადი მოისპო, თუ არ მივიღებთ მხედველობაში დღეში ოთხის ან ხუთის სიკვდილს.

**ახალ-სოფელი.** დაიკეტა სამრევლო სკოლა მასწავლებლის წიგნის უცოდინარობის გამო.

**კაზახი.** კაზახის მაზრაში ყველა მამასახლისები დასცვალეს. ახლებს მთავრობა ჯამაგირს უნიშნავს იქნებ ქანქრის გადაიმასქნა შეუსუსტდეთო.

**საღ. აქსტაფა.** კასირი შანიძე, ბილეთის გაყიდვის დროს ღირებულზე მეტ ქანქრის [illegible] მასქნისათვის თვითონ გადაიმასქნეს.

**იქიდანვე.** როგორც იქნა სადგურის მოსამსახურეებს გაუღიმა ბედმა და სადგურის უფროსი ვიშნევსკი გადაიყვანეს.

**კაზახი.** როგორც ამბობენ—ციხიდან კატორღელების გაქცევაში 4,000 ქანქარმა *) მიიღო მონაწილეობაო.

**ტატლიკენტი.** როგორც ხმები დადის, აქაურ ხე-ტყის მექარხნეებს მიუწერიათ, ფოთში ცნობილ მექარხნე ერასტო მოისრაფეშვილისთვის, ჩვენთან ამხანაგათ შემოდიო მას თანხმობა განუცხადებია. აქაურ მექარხნეების სიხარულს საზღვარი არ აქვს, რადგანაც ერასტო, როგორც ცნობილი შეგნებულ მუშების ქარხნიდან გარეკაში, აქაც გამოიჩენს ფხასაო.

---

*
* *

მინდა, ნაკადო, მეც შენთან ერთად
ლაღათ ვსერავდე ზურმუხტის ველსა
და უდარდელათ, შუბლს უნაოჭოთ
მშვენიერებას ვეკვროდე ყელსა...
მინდა, ბულბულო, მეც ვინეტარო,
ხარბათ ვისმინო შენი ჰანგები,
სიცოცხლის ღერძათ დავსახ-ვიწამო
შენი სიმღერა, დარდთა წამლები...
მინდა, ყვავილო, შენებრ მოვირთო,
თექა მოვისხა სასიხარულო.
და მთელ ქვეყანას, კიდითგან კიდეს
ღიმილი ვუძღვნა სასიყვარულო.
მინდა .. მარა. . ეხ! მარქვით თუ შვენის
შვილს თეთრი თექა, გულის გამხარი,
როცა თალხშია სამშობლო მხარე,
შავათ მორთულა ბედ განამწარი?
სთქვით, ვით ისმინოს ჭაბუკმა ნაკადს,
ყური დაუგდოს ბულბულის მღერას,
სიყვარულს მოჰყვეს ქვეყნის გლოვის დროს,
ემონოს ქნარის უდარდელ ჟღერას?!
არა! აროდეს! არ ძალუძს ეს გულს,
არ მინდა ვიყო მე ბედნიერი,
მარტო ვიცურვო შვების ტალღებში,
როს ცრემლით დნება მშობელი ერი! .
შენ კი, ნაკადო განაგრძე სრბოლა,
ნაზათ ეპკურე იას, შროშანას!
ბულბულო, შენაც კვნესას უმატე,
ნუ, ნუ მოაკლებ მიდამოს ნანას...
მე კი აქ ვიყო ჯერ ჩემს მშობელთან,
იქნებ ოდესმე შევიშროთ ცრემლი,
იქნების მოვსპოთ საკანი, ტყვია,
გავანადგუროთ მონობის გრდემლი...

*) ცხადია აქ შეცდომა იქნება და ქანქარის მაგივრათ «თათარი» უნდა ვიგულისხმოთ.

**ეშმაკი.**

და მაშინ... მაშინ ჩვენც ვინეტარებთ,
აღიმართება ჩვენი ალამი,
კიდითგან კიდე დაიგრიალებს:
,,მშვენიერებავ, შენდა სალამი!''

**ვ. მალაქიაშვილი.**

---

# სანაგვე პოეტები.

(ბიბლიოგრაფიის მაგიერი)

## ლ ე ქ ს ე ბ ი

**ნატალია რ. გიგაურისა.**

(გამოცემა მისივე)

საჭიროა მკითხველმა ყურადღება მიაქციოს ზოგიერთ მეტად საგულისხმიერო ნიშნებს სანაგვე პოეტთა ფსიხოლოგიაში.

ავიღოთ თუნდა ის უბრალო, მაგრამ სანაგვე პოეტ მწერალთა დამახასიათებელი შემთხვევა, რომ ყველა მათ ნაბეჭდ „ტომებს' აწერია: «გამოცემა მისივე». უკიდურეს შემთხვევაში იმით მაინც ვინუგეშებთ თავს, რომ .,სანაგვე გამომცემლები'' აღარ მოგვეძევება და ჩვენთვის ამასაც მნიშვნელობა აქვს.

გარდა ზემორე აღნიშნული თვისებისა, სანაგვე პოეტებს ერთი ღირს-მნიშვნელოვანი ჩვეულებაც დასდევთ. ისინი ,,ქველმოქმედური'' გრძნობებით არიან გამსჭვალულნი და თავის ,,ნაწარმოებთა'' შემოსავლიდან სხვა და სხვა კეთილ საქმეებს ეხმარებიან. გეხსომებათ სანაგვე პუბლიცისტი ტიტე ართმელაძე, რომელმაც თავისს, ყოვლად უნიჭო, ფელეტონებს, ,,მისივე ხარჯით'' წიგნაკათ გამოცემულს, დააწერა: „ამ წიგნაკის შემოსავალი ეგნატე ნინოშვილის ფონდს მოხმარდებაო''.

აგრეთვე ,,ქველმოქმედი'' ბრძანებულა ქუთათური პოეტესა ნატალია გიგაური. იგი, ,,მის მიერვე'' გამოცემულ სანაგვე ლექსთა კრებულზე მჭერმეტყველურათ აწერს: ,,ამ წიგნაკის შემოსავლიდან მესამედი ნაწილი გადადებული იქნება **ილია ჭავჭავაძის** ფონდისათვის''-ო.

მართალია, ,,ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაეშინჯება'', მაგრამ ცხენის მაგივრათ თუ მომაკვდავი ვირი შემოგაჩუქეს, რასაკვირველია კბილებსაც გაუშინჯავთ და ფეხებსაც, რადგან თუ ხელში ჩაგაკვდათ გადათრევა დასჭირდება და ამასაც ხომ ხათაბალა უნდა.

პატივცემულ ქუთათურ პოეტესაზე ამბობენ: ,,საკმარისია გაეცნოთ, რომ მეორე დღესვე ლექსი გიძღვნასო'' და მართლაც ,,ლექსთა'' მისთა უმრავლესობა მიძღვნილია ,,ვინმეებისადმი''. აღსანიშნავია აგრეთვე ის საისტორიო მოვლენაც, რომ სხვა სანაგვე პოეტებსავით რითმების ძებნას არა ყოფილა ჩვეული ქ-ნი ნატალია და მის ლექსებში, პრინციპიალური მოსაზრებით, განდევნილია როგორც აზრი, ეგრეთვე რითმაც. მაგრამ დროა თვით პოეტესას მოვუსმინოთ:

**შემოდგომა.**

„შემოდგომაა... და გარედ ყინავს,
ქარსა გაუდის გრიალი,
და ჩემს ოთახში მოისმის
ხეების ფოთოლთ შრიალი!

პოეტსა, თუ პოეტესას, როგორც ნამდვილს, ეგრეთვე სანაგვეს, სრული უფლება აქვს შემოდგომაზე კუთაისში ყინვები გაამეფოს, ყინვებში ხის ფოთლები ააშრიალოს და ქარსაც რასაკვირველია გრიალი გაადინოს.

„ავდექი, მიველ სარკმელთან
გარემოცული ფიქრითა;
გარინდულ-გაყუჩებული
დიდხანს ვიჭვრეტდი გარეთა".

როგორც ხედავთ პოეტესა ,,გარინდული'' ყოფილა და რაღა გასაკვირია, თუ შემოდგომაზე ქუთაისში ყინვები მოეჩვენა და ყინვაში ფოთოლთ შრიალი შემოესმა. ქარი ისე საშინლათ „გრიალებდა, შხუოდა და ზუზუნებდა'', თითქო წარსულზე ლაპარაკობსო და

„ჩემს გულსაც მძლავრათ ატოკებს
მრავალ გრძნობათა მორევით!
მიხატავს ცოცხლად სურათებს
სევდა—საამო არევით.

აი ასეთ მშვენივრათ, ,,სევდა საამო არევით'' დასრულდა შემოდგომა და ,,გარინდული'' პოეტესა მოშორდა ,,სარკმელს, საიდანაც სჭვრეტდა ყინვას''.

,,შემოდგომის'' შემდეგ, ეს რომ ამბაკო მაღრაძე ყოფილიყო, უთუოდ ,,ზამთარს'' დასწერდა, მაგრამ ქუთათურ პოეტესას ,,შედარება'' დაუწერია და ეს ,,შედარება' ისეთი შეუდარებელი რამეა, რომ მასთან მაღრაძის შედარება მართლაც რომ შეუდარებელი დანაშაული იქნებოდა.

„ნაზათ ბუჩქზე ბულბული სჯდა,
კოკობ ვარდსა დახაროდა!
ტკბილად საოცნებოდ სტვენდა
სულიერთ სმენას უტკბობდა!"

ცხადია, უსულო საგნებს სმენა არა ჰქონიათ და მაშასადამე ბულბულს არ შეუძლია მათი დატკბობა *)

**„იქვე ბუჩქს ახლო—მდინარის
ჩანჩქარი წყნარად მოისმის!
სევდანი ქართველი ქალის
იმას სრულიად არ ესმის..."**

ეს ,,სევდიანი'' ქალი ყოფილა ხნიერი და აქ ოცნებობს ძველ დროზე. უსინდისო მდინარეს-კი მისი ,,სევდანი'' სრულიადაც არ ესმის. ხნიერი

---

*) რამდენი კაცი ინატრებდა ნატალიას ლექსების კითხვის დროს: ნეტავ მეც უსულო საგანი ვიყო და პოეტესას ჰანგები სმენას არ მიტკბობენო. ეშმაკი.

ქალი იგონებს ძველ აღზრდის წესს და ამბობს გულ-დაწყვეტილი:

**„ახლა რას გხედავ?! მრავალნი**
**შვილებსა ზრდიან სათუთად:**
**„თქვენ გენაცვალოთ მამაშა**
**ბცით ხვალ რა გაქვთ სადილად?**
**ბუდინგა, პეროგ, მოროჟნა,**
**პივაც გექნებათ თუ გინდათ!**
**ასე იღზინეთ დუშინკა,**
**მეტი რა გრჩებათ ამ ქვეყნად“?!**

ძნელი გამოსაკვლევია, რას იწუნებს პოეტესა: სათუთად შვილების გაზრდას, სადილს, ანუ უკეთ ვსთქვათ ხორციელ საზრდოს, თუ რუსულ საჭმელ-სასმელებს შეუდარებელი ლექსი კი აქ თავდება.

ახლა მოდი და თქვი ეს შეუდარებელი შედარება არ არისო.

ჩვენ განგებ ვარჩევთ მგოსნის ნაწარმოებიდან ისეთ ლექსებს, რომელიც ვისიმე საკუთრებას არ შეადგენს და მთელ ქართველ ერს ეკუთვნის, თორემ, როგორც წინეთ მოგახსენეთ ქ-ნ ნატალიას ბევრი გაჩუქებული ლექსებიცა აქვს.

**გაზაფხულის დღე**, დამერწმუნებით დიდი პოეტური რამეა! ჩვენი პოეტსაც ვერ აუქცევდა მას გზას.

**„მხაპუნა წვიმა დაუშვა,**
**ცა შეიმოსა დრუბლებით!**
**თანაც ხშირი ტყე ხმას აძლევს,**
**ნადირი გარბის ღმუილით!“**

შესანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ თითო კუპლეტში პოეტი ქალი ორ განსაცვიფრებელ ნიშანს სვამს ხოლმე. ეს ალბათ იმიტომ, რომ წვიმაში ,,ნადირის ღმუილი‘‘ უფრო გასაკვირ საქმეთ გვეჩვენოს. საწყალი ნადირები! რომ იცოდენ როგორ ძალათ აღმუილებს მათ ქუთათური უსაქმო მგოსანი!

**„ქუხილი შესწყდა, წვიმა გადიღო,**
**აღარც ნადირთა ისმის ზმუილი**
**ცაზე ელვარებს მზისა სხივებით**
**აფერადებულ ცისა სარტყელი.“**

მარტო ეს ,,ზმუილი‘‘ და ,,სარტყელი‘‘ რაოდ ღირს, სხვას რომ თავი დავანებოთ.

აგრეთვე საუცხოვო პოეტურის მოხერხებითა აქვს აწერილი ქ ნ ნატალია გიგაურს **ზღვაც**. საკმარისია წაიკითხოთ მხოლოდ ერთი კუპლეტი მისი ლექსისა, რომ თქვენ თვალთა წინაშე დაიხატოს მომხიბვლელი სურათი მღელვარე ზღვისა:

**„ღურჯი ზღვა მოციმ-კამკამე**
**ქანაობს—ძალზე ირხევა!**
**ტალღები ერთმანეთს უსწრებს,**
**თანაც უკანვე იწევა!“**

ხომ ხედავთ და გრძნობთ, რომ ,,ტალღები ერთმანეთს უსწრებს და თანაც უკან იწევა!‘‘

(დასასრული დღესწორს)

**ნაცარ ქექია.**

---

# კაფია

(ფანდურს)

რასა ღონღილობ, ფუცფუცებ
რასა ჟიჟინებ ფანდურო!—
მუდამ მორჩილი ყვედრება,
რისთვის, ვის უნდა ვამდურო!?.
რას შემომიჩნდი ჭირათა,
რა უყავ ბედის მანძილი,
ყოფნა არ ულირს ჩირათა
და შენ მოგრია მან ძილი ..
მეც ამირიე გზა-კვალი,
გაფიცე, თურმე ცდუნება;
მასმინე ხმები, მზაკვალი,—
გინდოდა რამლით კურნება:
მომასიე ფიქრთა მართვე,
გამმსჭვალავი, მოისარე;
რა ვიცოდი, რა დამმართე,
შენს წინ ქედი მოვიხარე...
ეხლა მივხვდი, როცა წახდა,
გადაფრინდა სარბიელი;
ტკბილი აღთქმა, მწარეთ ახდა
ხარობს ძალა მარბიელი!
და შენც, ცბიერათ, მელურათ,
მიმღერი: მოკვდა გულიო,
ფიქრი დაფრინავს ველურათ,
ობლათ. ვითარცა გულიო...*)
მღილმა შეჭამოს, არ ვართმევ,
შენი წიწინა ლარია,—
ერთხელ სიტკბოსაც არ მამცნევ,
მუდამ ბოლლიწო მწარია!
დასწყევლოს, დამაწყევარმა,
უხორცო სიტყვის წესია;
აკვესოს მისმა მდლევარმა,
უკაჟოთ ფრჩხილზე კვესია!
უცეცხლო ენა, უსაქმო,
ეს, უსხეულო მკვდარია;
თუნდა იქ წადი, თუნდ აქმო,
მაინც უნათლო კვარია,—
ხელზე ნახვევი ჩანჩუხი,
უქსოვი, შეუღოლები,—
უნივთო გრდემლის მარწუხი,
უცეცხლო, შეუბოლები!..
ისევ დუდუნებ, რა გინდა,
რასა წრტიალებს სიმები?—
სიცოცხლე ღამემ ჩაბინდა,
გაქრა ტრფიალის იმედი..
შენც არა ჩქარობ ტკბილათა,
მე კი მომწყინდა ძგარუნი;
არ მიღირს, ჩალა-ფთილათა,
საჟამნო გლოვის წკარუნი..

*) ერთგვარი მტრედია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაწყდეს, მინდა ძაფები,—
უნდა გადავცდე მწარესა;
მე, სხვაგან მივესწრაფები,—
წმინდა ნუგეშის მხარესა..
იქ, მზესა ვნახავ, მოცინარს,
ცრემლებ მოწმენდილ მთვარესა,
კვლავ ვნახავ, ტკბილათ მოღიმარს
აქ მოყირჭებულ მხარესა;
შევეგებები, ცისკარსა,
ალმას, რიჟრაჟის კონასა;
სათანდო სიცოცხლის კარსა,
ჭრელ-კაბა და ფიონასა!..
მოვსხლტები, ღლიურ ზოზინსა,
შეჩენილს, სამზნობელოსა,
კვნესა-ვაების ლოგინსა,
წყვდიადის სამფლობელოსა...
ავიწყვეტ სევდის ზილფუშსა,
გოდებას, ბუზღუნს, დრტვინვასა;
ფანდურო შენს ხმას, ძილქუშსა,
ზოზონად, ნელიად დვრინვასა!..
მომწყინდა ეგ ხმა პირქუში,
მკვდრის სამიჯნურო, მეზარე
სულის უქცევი ზარფუში
და შიგ სახმილი მგზნებარე!..
რას შემომკვნესი, რას თრთინავ,
მაგონებ, ლოკოკინასა;
ხანა ზვიადობ, დაფრინავ,
ხან თითქოს აპობ რკინასა...
შენ ვერ დამიდგამ, გამსჭვირვალს
და დამანახვე მინასა;
სარკეს ნამდვილის დამჭირვალს,
ვერც უკვდავების ბინასა...
ისევ მე უნდა გასწავლო,
მკვდავმა, უკვდავი ჰანგები;
მცნება, მუდმივი სადავლო,
არსება, ბრძოლის ამბები...
მწარე ფიქრებში ჩართული,
ისევ ზუზუნებ კაეშანს,—
მონახე ბედის მავთული,
რატო არ ეძებ ხვაიშანს!..
არა, არ მარგებს დარჩენა,
შენთან სალმობი მინდობა;
არ მესმის, შენი, არც ენა,
არც მაგრე ნაობ-ბინდობა..
ჩაკნინდი, რათ არ ყუჩდები,
წბილათ რას მოიჭვრიტები;
ხან სიცილითა კუჭდება,
გრძნობ, რომ ვერ გაგერიდები!!!
ვაჰ, რა უხმოთა ფუჭდები,
გაქ სევდა გული და სმენა,—
რათ შემხვდა, შენთან ურგები,
და უნებული დარჩენა!..

—

ჰოი, ფანდურო, ტიალო,
მახლას, ეგ მწარე სიმები;
შენთან მარტოკა ოცნებე
ცრემლების მომაწვიმები...
მახლას, დაშლილი ჰანგები,
მახლას, ურწმუნო მონება,
გულში ჩამწვარი თანდები,
და შეიჭვნული გონება!..
გარშემო სვავთა ყრაშყრაში,
სიცოცხლის ძვალთა ტკივილი,
მლიქვნელი ძალის პარპაში,
ცოდვის-უთლების ყივილი!..
მახლას, ყორანთა ფრაშფრაში,
ქორ სკვინჩა ძერა-ბარათა;
შავის სამარის დამქაში,
შავ-ბნელი ერთი ორათა!..
გმირთა მკლავები, დახრული,
ნანვის და შურის მზმანები
ველათა ყრია დასრული,
არა აქვს დასავანები?..
მხოლოთ ნიავი დაილტვის
და მოტიტინებს ამასა;—
უმტყუნე, ბედო, რაისთვის,
შენს წმინდა დასტურლამასა?!.
გადაიკირწლა ობლათა,
არავინა ჰყავს დამცველი;
ფიქრი კი უხმობს სოფლათა,
გულის თირკმელი დამწველი..
ფანდურო, ჩემო ფანდურო,
ბევრი მაქვს შენთან სათქმელი,
მაგრამ, ჰა, რითი დავსწერო,
უკვდავი გრძნობის საზმელი?..
სიცოცხლე, როდი მოკვდება,
გრძნობა-კი მისი კვესია;
ლეში მოდნება, მოცვდება,
იგი-კი ჩემი წესია...
შაბაშ, ეხლა-კი!..—კულუხი,—
ჯურუმი დავსდვათ მსმენელსა;
თუ-კი იქნება სულ-უხვი,
არ გააწბილებს მრწმენელსა..
მანვი გვასწავლა, მოგვკითხავს,
და მას ვერ მოვეტყუვებით;
ის, ჩვენ აროდეს გაგვკიცხავს,
თუ მას ჩვენ შევეგუებით!—
ამინ, [illegible]ურო, კვლავ ტკბილო,
მშვიდ[illegible]თ, იყავ ხალისათ;
მახლას, სიცოცხლე საწები
და კვლავ იმედი ხვალისათ!

**ვ. ტუქსიშვილი**



Рис. А. Юнгера

# ოქტომბრისტების მოლოდინი.

Жур. „Сатирикон"




ოქტომბრისტები აგერ მეოთხე წელიწადია მოელიან „გულკეთილ" მთავრობისაგან... რეფორმებს!! ნეტარ არიან მორწმუნენი!!

## პასუხის პასუხი*)

(„ახის“ წერილის გამო).

ბ. „ახ-ი“ არ ისვენებს... ის ათასნაირ სიცრუეს თხზავს ჩვენს წინააღმდეგ... ყველაფერში თავს იმართლებს და თავის უპრინციპობას ჩვენ გვახვევს თავზე .. რა გაეწყობა, პასუხს—პასუხი უნდა .. და ჩვენც ცოტათი მაინც გაუგრილებთ სურვილს.

ბ. „ახ-ი,“ „მათრ.—სალამურის“ № 11, სწერს: «...ჩემს მოწინააღმდეგებს რომ ითქის ოდენა სიმართლე ქონებოდათ, ბევრ დობე-ფო ეს არ მოედე(ბო)დენ, და პირდაპირ სამედ. სასამართლოს, რაზედაც ისინი ერთ დროს თანახმა იყვნენ—მიმართავდნენ და საქმეს კულტურული საშვალებით გაათავებდნენ... მაგრამ კულტურულ საშვალებას კულტურული ადამიანი უნდა...»

მეორე გვერდზე, იმავ №-ში, სწერს: «...„დადგენილება“, რომლითაც მე „სხვა ერში გადაუწყვეტივართ“—გამოიტანეს ბ. „ერთმა“ და მისმა 5—7 ამხანაგებმა, რაზედაც სხვა მუშებში დიდი წინააღმდეგნი იყვნენ...და მოითხოვდნენ საქმის გამოძიება—გარჩევას... ამის შესახებ შედგა კიდეც სასამართლო, რომელსაც საქმე უნდა გაერჩია, და ბ. ერთი და ამხ. თანახმა გახდნენ...» (კურსივი ჩვენია).

უნდა მოვახსენოთ ბ. „ახ—ის,“ რომ ის ყრუ, ან გაუგებარი ყოფილა, რომ არ სცოდნია, როდესაც უთქვამთ „გარიცხული“ ხარო, და ამის შემდეგ კულტურას სხვაგან დაეძებს!... გასაოცარია ვინ, ან როდის იყვნენ თანახმა სამედ. სასამართლოს მიერ „ახ-ის“ საქმის გარჩევაზედ, როდესაც, გარიცხვის შემდეგ, ის მტრად იყო ცნობილი და არავინ, მუშათაგანი, მას აღარ ეკარებოდა. წარმოუდგენელია, მართლა, ასეთი სიცრუის მოგონება! თანხმობას უცხადებდენ მას მხოლოდ ორი კაკალი კაცი.

გასაოცარია, განდევნეს „ა-ხი“ უკეთესი სასამართლოებით (ხუთით) და აუარებელი ფაქტების დამტკიცებით, და განა ეს უკულტურო საშვალება იყო?? თუ თითონ არ ესმის „ახ-ის“ კულტურული საშვალება? ალბათ ასე იქნება! განა 5—7 კაცს შეეძლებოდა მისი განდევნა? განა უმრავლესობა 2—3 წელი მოითმენდა და „ახ-ის“ საქმეს არ გაარჩევდა, არ გაამართლებდა, და მას ძალით არ მიიღებდა? რა შეეძლებოდა 5—7 კაცს უმრავლესობის წინაშე? მაგრამ ის დღეს პოულობს დროს და, ხედავს რა მუშების, დაქსაქვას,—მასაც მიაქვს და მიაქვს შეუწყვეტლივ იერიში უდანაშაულოებზე.

თუ „ახ-იმ არ იცის—ვასწავლით, რომ მუშები დიდი ხანია გაურბიან კინკლაობას და არაფერზე აშენებულ სამ. სასამართლოებს, და არა სიმართლეს, როგორც მას ჰგონია. დასასრულ, დეე კიდევ მკითხველმა იცოდეს, რომ „ახ-ის“, ამ „კულტურულ ადამიანს“, უყვარს და მუდამ ეყვარება, —მხოლოდ და მხოლოდ სამ. სასამართლოები და კინკლაობა ტყვილ-უბრალოთ, რაც ნათლად იხატება იმის ვეებერთელა წერილში და ირგვლივ, ყოველ სტრიქონზე, ამეებს დასტრიალებს!...

**მონდ. ერთი.**

*) ვინაიდან გამოცდილეაით იცის ჩვენმა რედაქციამ თუ რას ნიშნავს „პასუხის პასუხი“, „პასუხის პასუხის პასუხი“ და „პასუხის პასუხის პასუხის პასუხის პასუხები“, ამიტომ აღნიშნულ საგანზე ქადაგრით სპობს წერილების ბეჭდვას.

„მათრახ-სალამურის“ რედ.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ბ. ს. პაპინაშვილი, უხეირო კომპასივით ხან აღმა შვება თავს, და ხან დაღმა... ის ჯერ დაჟინებით მოითხოვდა, სამ. სამართალში პირადათ მე გავყოლოდი და არა ჩემი რწმუნებული. მერე, როგორც იყო „დამთანხმდა“, რომ ჩემი რწმუნებულის თანადასწრებით გარჩეულიყო საქმე, და ამისათვის ერთი კვირის ვადა მომცა. ახლა-კი, რადგან ერთი კვირის განმავლობაში რწმუნებული ვერ გაუგზავნე—სრულებით უარს მეუბნება სამ. სამართალზე და ამბობს: ვითომც მე „უხერხულ მდგომარეობაში ვიყო“ და მისგან დათქმულ ვადაში (ერთი კვირის განმავლობაში) «მიტომ ვეღარ გამეგზავნოს რწმუნებული მისთვის.» «და ახლა, რაღაც მოსაზრებით ორი კვირის ვადას მთხოვსო. ამაზე მე უარს ვეუბნები, ვინაიდან ზოგიერთი, ჩემი მოწმები აქ აღარ არიანო» და სხვა...

ამით ათავებს ჩემთან კამათს...

ამონაწერიდან ნათლათ სჩანს, თუ ვინ ყოფილა „უხერხულ მდგომარეობაში“, მე თუ ბ. ს. პაპინაშვილი. უკანასკნელის წინააღმდეგ, მე ენის დაგრძელების გარდა მეორე ბრალდება,—სისტემატიური პროვოკაცია წამოვაყენე (იხ. «მათრახის» № 8-ში.) ის კი, სწორეთ ახლა («მათრახი» № 9-ში) მეუბნება ს. სამართალზე უარს, რადგან ვითომდა, „მისი ზოგიერთი მოწმები არ ყოფილან ხაშურში“.

ასეთი ფანდებით ბ. ს. პ—შვილი ფონს ვერ გავა... ერთი, რომ მისი მოწმები დღეს ყველანი ხაშურში იმყოფებიან და თუ რომელიმე მათგანი წავიდა სადმე,—ისეთ ადგილს არ წავიდოდა, რომ მიწერ-მოწერა შეუძლებელი იყოს, და რომ პ—შვილი თავის დანაშაულობას არ გრძნობდეს და მისგამო ს. სამართალს არ გაურბოდეს—ის უსათუოთ წარსდგებოდა მედიატორეების წინაშე. მაგრამ ბ. პ—შვილი იმის მეტს აღარას ფიქრობს, რომ როგორმე ბრალდებიდანაც „განთავისუფლდეს“ და ს. სამართალიც გადაიძროს თავიდან.

რაც შეეხება იმას, რომ ერთი კვირის განმავლობაში ვერ გაუგზავნე რწმუნებული—ეს იმას მიეწერება, რომ მე უკვე რამდენიმე ხანია ხაშურში არ ვიმყოფები და აღარც რწმუნებული მყავდა. ერთი კვირის განმავლობაში, სხვა და სხვა საქმეების გამო საშვალება არ მქონდა, ამ სიშორიდან ხაშურში რწმუნებული დამესახელებია... ახლა მე უკვე მყავს რწმუნებული,—პავლე მუჯირიშვილი (სასტუმრო „გრანდ-ოტ.“-ში) და ყოველივე საბუთებიც მას გადავეცი, რისთვისაც ვაძლევ ბ. პ—შვილს უკანასკნელ წინადადებას, ნუ გაურბის სასამართლოს და ათასგვას ლობე-ყორეს ნუ ედება. თუ „სიმართლე“ აქვს—აღადგინოს ის. მის მოწმეებს კი თვით მედიატორეები მოძებნიან... წინააღმდეგ შემთხვევაში მე მზათ ვარ ბ. ს. პაპინაშვილს, ჩემ მიერ წამოყენებულ ბრალდებების სრული ატესტატი ჩავაბარო და მასთან ყოველივე კამათი მოვსპო....

**პატივისცემით გ—ლი.**

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა

# კოოპერაცია

(თეორია ისტორია და პრაქტიკა.)

გამოცემა „შრომის“ სტამბის ამხანაგობისა

შინაარსი: რა არის კოოპერაცია? კოოპერაციის მიზანი, ისტორია, სხვა და სხვა გვარი კოოპერაცია: მომხმარებელი საზოგადოება. მწარმოებელი ამხანაგობანი, საკრედიტო კოოპერატივები. კოოპერაცია სოფლად. ანგარიში კოოპერატიულ დაწესებულებებში. მნიშვნელობა კოოპერაციისა. კოოპ. ჩვენში. **წიგნის ფასი 35 კაპ.**

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს დაეთმობა 25% დაკლებით. ერთი ცი ლის მსურველს ქალაქ გარეთ შეუძლია 35 კაპ. ღირებული საფოსტო მარკა გამოგზავნოს. გასაგზავნი არ გადახდება. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома", Василію К. Болквадзе. (10—2)

იყიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე ეგზავნებათ მსურველთ:

1909 წლის „ალმანახები 7 ნომერი და „მათრახი და სალამური“ 29 ნომერი ერთად შეკრული . . . . 2—50 კ.

წლიწადი **1910 წლისათვის** მეორე.

მიიღება ხელის მოწერა

## ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

# მათრახი
## და სალამური

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს, ავუსტროს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად

## პრემიათ გაეგზავნება
# ახალი კრებული

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома", Василію Карамановичу Болквадзе.


ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუს. ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ე. ტურაბელიძე.



ჟურ. „სატირიკონიდან"

**მშობლიური თანამოცხარეობა.**

**მამა.**—ოჰ, გმადლობ შენ, შემოქმედო, რომ ჩემი შვილი შეჰქმენ მსგავსი მამისა თვისისა!...



**ანდერძი მასწავლებლისა.**

ოჰ, დიდათ დამავალებთ, თუ უქმე დღეს დამამარხავებთ. ამ გზით სწავლა-აღზრდის საქმე არ შეფერხდება.



**ახლო. მომავალში.**

ბურიშკევიჩი წარმოსთქვამს სიტყვას.